საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა

ადგილმდებარეობა

მისამართი

ტელეფონი

საკონტაქტო პირი

გეგმაში ბოლო ცვლილებების შეტანის თარიღი

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის ამოცანები

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა. საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში რეაგირების ჯგუფის მიერ მისაღები ზომების აღწერა (მაგ., სკოლის მოსწავლეების, დატბორილ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ევაკუაცია, პირველადი დახმარების გაწევა და ა.შ.).

- ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამახასიათებელი რისკების დადგენა.
- ევაკუაციის, თავშესაფრებში გადაყვანისა და სხვა ზომების პროცედურების დანერგვა.
- რეაგირების ჯგუფის ფუნქციების განსაზღვრა.
- საგანგებო სიტუაციის დროს ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფა.

I. ევაკუაციის გეგმა (მაგ., სკოლის) [მზადდება თითოეული საჯარო შენობისთვის]

ევაკუაცია შეიძლება საჭირო გახდეს ხანძრის, წყალდიდობის ან სხვა საფრთხეების შემთხვევაში. ევაკუაციის ჯგუფი უხელმძღვანელებს შენობიდან ადამიანების ევაკუაციას და მათ უსაფრთხო ადგილას გადაყვანას.

გაფრთხილება

შენობიდან ევაკუაციის აუცილებლობის შესახებ ადამიანები შეტყობინებას შემდეგი სისტემის გამოყენებით მიიღებენ:	*განგაშის სისტემების გამოყენება (ზარი, სირენა, აუდიო შეტყობინება, მოკლე ტექსტური შეტყობინება, მობილური ტელეფონების აპლიკაციები).*

🚶♂➡📍 შეკრების პუნქტი

ევაკუირებული პირები უნდა შეიკრიბონ მითითებულ ადგილას, სადაც ევაკუაციის ჯგუფმა მათ დაითვლის:	*ადგილმდებარეობა*

ევაკუაციის გეგმა/რუკა განთავსებულია შემდეგ ადგილებში:

(ევაკუაციის გეგმა/რუკა განთავსებული იქნება შენობაში თვალსაჩინო ადგილას. გეგმაზე/რუკაზე გარკვევით იქნება მითითებული, თუ სად უნდა მოხდეს ევაკუაცია

✅👪 ევაკუირებული პირების დათვლა

წინასწარ განსაზღვრული პირი შენობაში მყოფი პირების სიას შეკრების პუნქტში მიიტანს იმისათვის, რომ გაირკვეს, არის თუ არა ყველა ადამიანი შენობიდან გამოსული. ინფორმაცია არმყოფი ან დაშავებული ადამიანების შესახებ ევაკუაციის ჯგუფის ხელმძღვანელს გადაეცემა.	*სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი* *მათი არყოფნის შემთხვევაში მათ შეცვლის:* *სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი*

ანგარიშგება

ევაკუაციის ჯგუფი ხელისუფლების ორგანოებს შენობაში დარჩენილი ადამიანების შესახებ ატყობინებს.

II. ევაკუაციის ჯგუფი

ევაკუაციის ჯგუფის ხელმძღვანელი	სახელი, გვარი/ადგილმდებარეობა
ევაკუაციის ჯგუფის ხელმძღვანელი	*სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი* *შემცვლელი* *სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი*
სართულების მონიტორები (თითო მონიტორი თითო სართულზე)	*სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი* *შემცვლელი* *სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი*
შეკრების პუნქტის მონიტორები (ევაკუირებული პირების აღრიცხვა და ხელმძღვანელის ინფორმირება ამა თუ იმ ადამიანის არყოფნის ან დაშავების შემთხვევაში)	*სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი* *შემცვლელი* *სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი*

III. საგანგებო სიტუაციის დროს თავშესაფრებში გადაყვანის გეგმა (ქარიშხალი, წყალდიდობა, და სხვ.)

წყალდიდობის შესახებ გაფრთხილების მიღების შემთხვევაში, განგაშის სიგნალის გადაცემა ყველა შენობაში და ამ შენობებში მყოფი ადამიანებისათვის წინასწარ განსაზღვრულ თავშესაფარში გადასვლის ინსტრუქციის მიცემა. ევაკუაციის ჯგუფი ევაკუაციას დაქვემდებარებული ადამიანებს თავშესაფარში გადასვლაში დაეხმარება.

თავშესაფარში გადაყვანის ჯგუფის ხელმძღვანელები	**სახელი, გვარი / ადგილმდებარეობა**
თავშესაფარში გადაყვანის ჯგუფის ხელმძღვანელი	*სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი* *შემცვლელი* *სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი*
ამინდის მონიტორინგსა და გაფრთხილებაზე პასუხისმგებელი პირი	*სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი* *შემცვლელი* *სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი*
თავშესაფარში გადასვლის პროცესის ხელმძღვანელი პერსონალი	*სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი* *შემცვლელი* *სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი*

ამინდის შესახებ გაფრთხილების სისტემის ადგილმდებარეობა	*(სირენა, განგაშის სიგნალი, მოკლე ტექსტური შეტყობინება, მობილური ტელეფონების აპლიკაციები).*
თავშესაფრების ადგილმდებარეობა	*მისამართი და მისასვლელი გზა*

IV. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გეგმა

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აუცილებლობის შემთხვევაში:

112-ში დარეკვა და დაზარალებულ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის მიწოდება:

- დაზარალებულთა რაოდენობა და მათი ადგილმდებარეობა
- დაზიანების ან დაავადების ხასიათი
- არსებული საფრთხის ტიპი
- გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უახლოესი პუნქტი

პერსონალი, რომელსაც შეუძლია პირველადი დახმარების გაწევა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მოსვლამდე.

პერსონალი, რომელსაც შეუძლია პირველადი დახმარების გაწევა, გულ-ფილტვის რეანიმაციის ჩატარება ან ავტომატური გარეგანი დეფიბრილატორის გამოყენება.

სახელი, გვარი	ადგილმდებარეობა/ტელეფონი

არსებული სამედიცინო აღჭურვილობა:

პირველადი დახმარების ნაკრების და სხვა სამედიცინო საშუალებების

ადგილმდებარეობა

პირველადი დახმარების ნაკრების ადგილმდებარეობა	
ავტომატური გარეგანი დეფიბრილატორების ადგილმდებარეობა	

პროცედურები

- პირველადი დახმარება მხოლოდ სპეციალურად მომზადებულმა პერსონალმა უნდა უზრუნველყოს.
- არ გადააადგილოთ დაზარალებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი ადგილსამყოფელი საფრთხის შემცველია.
- უბედური შემთხვევის ადგილზე ადამიანების შესვლის აკრძალვა.
- „სიფრთხილის ზოგადი ზომების“ მიღება სხეულის სითხეებთან ადამიანების კონტაქტის თავიდან ასაცილებლად
- სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის დახვედრა უახლოეს შესასვლელთან და მისი დაზარალებულთან მიყვანა.

V. ხანძარზე რეაგირების გეგმა

ხანძრის შემთხვევაში მიღებულ უნდა იქნას შემდეგი ზომები:

განგაშის სისტემის ამოქმედება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

112-ში დარეკვა – მეხანძრეების გამოსაძახებლად.

ევაკუაცია –პროცედურების მიხედვით.

🏃♂➡📍 **შეკრება საევაკუაციო პუნქტში**.

რეაგირების ჯგუფებისათვის დახმარების გაწევა – შენობის გეგმის, გასაღებების და დაკარგული ადამიანების შესახებ ინფორმაციის გადაცემა.

პროცედურები

- შეკრების პუნქტებში ადამიანების ევაკუაცია წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით.
- შენობაში მყოფი პირების გაშვება ცეცხლისგან დაშორებული კიბეებისა და გასასვლელებისაკენ.
- არ გამოიყენოთ ლიფტები (ასეთს არსებობის შემთხვევაში)
- შეკრების პუნქტში მისულ ადამიანებს ევაკუაციის ჯგუფი აკონტროლებს.
- სახანძრო ჯგუფის დახვედრა და მისი ხელმძღვანელის ინფორმირება ევაკუაციის კუთხით არსებული ვითარების და დაშავებულების შესახებ, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში შენობის გეგმისა ან გასაღებების გადაცემა.

VI. ქონების დაცვა

1. მოსამზადებელი სამუშაოები პროგნოზირებული საგანგებო სიტუაციის დადგომამდე

- შენობის შემოწმება და გამაგრება.
- მნიშვნელოვანი ტექნიკისა და ქონების დაცვა.
- ენერგიის ალტერნატიული წყაროების მომზადება.
- არასტაციონარული ნივთების გატანის გეგმების განხილვა.
- საჭიროების შემთხვევაში წყლისა და გაზის წყაროების გადაკეტვა.
- ავარიული სამსახურების საკონტაქტო მონაცემების განახლება.

2. საგანგებო სიტუაციით გამოწვეული ზარალის შეფასება:

- ტერიტორიის უსაფრთხოების უზრუნველყოფა შესვლის წინ.
- ზარალის დოკუმენტური მტკიცებულებების შექმნა (ფოტო, ვიდეო).
- სტრუქტურული ზიანის დადგენა.
- ხელისუფლების ორგანოებისა და სადაზღვევო კომპანიების ინფორმირება.
- ხელახლა შესვლამდე უზრუნველყავით.

3. დაუზიანებელი ქონების გადარჩენა:

- დაუზიანებელი ნივთების დაცულ სივრცეში გატანა.
- წყლისა და ტენის მოშორება შემდგომი დაზიანების თავიდან ასაცილებლად.
- დაზიანებული სივრცეების იზოლირება მათი მდგომარეობის შემდგომი გაუარესების თავიდან ასაცილებლად.

4. დასუფთავება და აღდგენა:

- სახიფათო ნაგვის გატანა.
- დაზიანებული ზედაპირების გაწმენდა და დეზინფიცირება.
- ელექტრო და სანტექნიკური სისტემების შემოწმება და შეკეთება.
- დაზიანებული ნაგებობების აღდგენა.

დანართები

კონკრეტული რისკები ან საფრთხეები

მითითება: გაეცანით საფრთხეების ჩამონათვალს და განსაზღვრეთ თქვენი არეალისთვის დამახასიათებელი საფრთხეები. თითოეული გამოვლენილი რისკისთვის შეიმუშავეთ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების პროცედურები.

ბუნებრივი საფრთხეები (გეოლოგიური, მეტეოროლოგიური და ბიოლოგიური):

გეოლოგიური რისკები:

- მიწისძვრა
- მეწყერი

მეტეოროლოგიური საფრთხეები:

- წყალმოვარდნა, მდინარის ადიდება
- გვალვა
- ძლიერი თოვლი და ქარბუქი
- ძლიერი ქარიშხალი
- სიცხეები და ექსტრემალური ტემპერატურა
- ელვა (რომელიც ხანძარს იწვევ)

ბიოლოგიური საფრთხეები

- საკვებით გამოწვეული დაავადებები
- ეპიდემიები და პანდემიები

ტექნოლოგიური და სამრეწველო საფრთხეები

ადამიანის მიერ გამოწვეული საფრთხეები

შემთხვევითი:

- სახიფათო მასალის დაღვრა
- ავარია ატომურ ელექტროსადგურზე (თუ ტერიტორია ატომურ ელექტროსადგურთან ახლოს მდებარეობს)
- ფეთქება/ხანძარი
- ავტოსაგზაო შემთხვევები
- შენობის ნგრევა
- ადამიანების დახსნა (სატრანსპორტო საშუალებები, ჩაკეტილი სივრცეები, სიმაღლე, წყალი)
- სატრანსპორტო ავარიები (საგზაო სატრანსპორტო საშუალებები, რკინიგზა, გემები, თვითმფრინავები, მილსადენები)

გამიზნული:

- ქურდობა
- ადამიანის გაუჩინარება, ბავშვის გატაცება, სამუშაო ადგილზე ძალადობა და ა.შ.
- სხვა (ქუჩის არეულობები, ძალადობრივი დემონსტრაციები, აფეთქების მუქარა და ა.შ.)

- ხანძრები და აფეთქებები
- ავარიები ელექტროენერგიის, წყლისა და გაზის მომარაგების და სატელეკომუნიკაციო ქსელებში

დანართები

საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ჯგუფები

განსაზღვრეთ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ჯგუფების წევრები (თუ ისინი უკვე სხვა სიებში არ არიან შეყვანილი):

- შენობის მართვაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები და ისინი, ვისაც შეუძლია დახმარება საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ღონისძიებებში.
- უსაფრთხოების თანამშრომლები.
- სხვა პირები, რომლებსაც შეუძლიათ ცეცხლმაქრის გამოყენება, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა, და სხვ.

ჯგუფი	სახელი, გვარი	ადგილმდებარეობა	სამსახურის ტელეფონი	მობილური ტელეფონი

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სახელმწიფო სამსახურები და კონტრაქტორები

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამსახური	სახელი , გვარი	საკონტაქტო ტელეფონი	სხვა ტელეფონები
სახანძრო-სამაშველო სამსახური			
სასწრაფო სამედიცინო დახმარება			
პოლიციის განყოფილება			
საავადმყოფო			
სანიტარული ინსპექტორი			
გარემოსდაცვითი უწყება			
გაზის სერვისი			
ელექტრიკოსი			
მემონტაჟე			
და სხვ.			

გაფრთხილების, შეტყობინებისა და კომუნიკაციის სისტემები

დაცვის ზომების (მაგ., ევაკუაცია, ძლიერი ქარიშხლის შემთხვევაში თავშესაფარში გადასვლა, სამუშაო ადგილზე უსაფრთხო ადგილის პოვნა და ა.შ.) მისაღებად თანამშრომლების გასაფრთხილებლად და მათი ინფორმირებისათვის შემდეგი სისტემები გამოიყენება. კომუნიკაციის საშუალებები საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ჯგუფის წევრებს ერთმანეთთან და სხვა პირებთან დაკავშირების შესაძლებლობას აძლევს. საშუალებას აძლევს.

	სისტემა	**ადგილმდებარეობა**
განგაშის სისტემა	სახანძრო სიგნალიზაცია	
	მოსახლეობისთვის მიმართვა	
	სხვა (აღწერეთ)	
შეტყობინების სისტემა	ელექტრონული	
	სატელეფონო	
კომუნიკაციის სხვა სისტემები	ხმოვანი/პირდაპირი სიტყვიერი მიმართვა	
	:::	

ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების აღწერა, სისტემების ტიპების, მათი ადგილმდებარეობის, დასაცავი ტერიტორიის ან საფრთხის მითითებითა და შესაბამისი ინსტრუქციებით.

სისტემის ტიპი	ადგილმდებარეობა	გამოყენების ინსტრუქცია
წყლის გამფრქვევი მოწყობილობა	მარეგულირებელი სარქველი	
	მარეგულირებელი სარქველი	
	მარეგულირებელი სარქველი	
სპეციალური ცეცხლმაქრი სისტემები	სამზარეულო	
	და სხვ..	
:::	:::	

გეგმაში ცვლილებების შეტანის ისტორია

ვერსია N	თარიღი	შეტანილი ცვლილებების აღწერა	ავტორიზაცია

გეგმის გავრცელება და გეგმაზე წვდომა

გეგმა საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ჯგუფის წევრებს ურიგდებათ. დოკუმენტის ასლი ჯგუფის ხელმძღვანელთან ინახება. გეგმის განხილვა ყველა თანამშრომელს შეუძლია.

გეგმის ბეჭდური ასლები ხელმისაწვდომი უნდა იყო საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ოპერატიული ცენტრისთვის გამოყოფილ სივრცეში (მაგ., ადგილობრივი მერიის შენობა). აღნიშნულ ცენტრში უნდა იყო გეგმის ბევრი ასლი იმისათვის, რომ ჯგუფის გააქტიურებისას მისმა წევრებმა ფუნქციების, პასუხისმგებლობების, ამოცანებისა და სხვა ინფორმაციის გადახედვა სწრაფად შეძლონ.

გეგმის ელექტრონული ასლი უნდა განთავსდეს უსაფრთხო და ხელმისაწვდომ ვებგვერდზე (ან ღრუბლოვან სერვისზე, როგორიცაა Google Drive, Dropbox და ა.შ.), რომელიც მასზე დისტანციური წვდომის შესაძლებლობას იძლევა.

ელექტრონული ასლები ასევე უნდა ინახებოდეს დაცულ USB ფლეშ დრაივზე საჭიროების შემთხვევაში მის ამოსაბეჭდად.